„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“

ფორმა №1

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: ფილოლოგია

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი **თეა შავლაძე**
1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა - **ასოცირებული პროფესორი**
1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) **დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

N	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა
1.	**Political Graffiti as a type of Political Communication**	2025	International Journal of Innovative Technologies in Social Science No 1(45)		**Erih Plus**		
2	**COMMUNICATION THROUGH INTERTEXTUAL GRAFFITI**	2024	International Journal of Innovative Technologies in Social Science No	DOI:10.31435/ijitss.4(44).2024.3126	**Erih Plus**		

1.4. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება

N	უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა
1	ბსუ	განათლება	მაია ტაკიძე	ფონეტიკის და აუდირების სწავლების ეფექტიანობის ამაღლება საყნუვრსიტეტო საფეხურზე	2018	
2	ბსუ	განათლება	ია ხასაია	უცხოური ენის შესწავლის ხელშეწყობი პირობები დაწყებით კლასებში	2018	
3	ბსუ	ლინგვისტიკა	მერი მახარაძე	საგაზეთო ფელეტონის იუმორის ეპოქალურ-კულტურული არსი და კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პერსპექტივა (ქართული და ინგლისური საგაზეთო ფელეტონების მასალაზე)	2018	
4	ბსუ	ლინგვისტიკა	ოზნურ თუზჯუ	თანამედროვე ტენდენციები ანდაზების განვითარებაში – ინტერტექსტუალური ხუმრობები (ანგლო–ამერიკული და თურქული ანტი – ანდაზების შეპირისპირების საფუძველზე)	2021	
5	ბსუ	ფილოლოგია	ქრისტინა თოფურია	ტრაბახი როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენი და მისი ვერბალური გამოხატულება პოლიტიკურ დისკურსში	2024	
6	ბსუ	ფილოლოგია	ანა ახვლედიანი	YouTube-ის ვიდეო კომენტარების ენობრივი სპეციფიკა და მისი გამოხატვის ძირითადი ხერხები (ინგლისურენოვან და ქართულ ვიდეო კომენტარების მასალაზე დაყრდნობით)	2025	

2. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა

2.1. კვლევითი პროექტის დასახელება: პლაკატის პოლიტიკა - წინასაარჩევნო პლაკატების ლინგვოსტილისტური თავისებურებები (ქართულ, ინგლისურ და ამერიკულ წინასაარჩევნო პლაკატების მასალაზე დაყრდნობით)

პოლიტიკურ კომუნიკაციაში, ენა არ არის ურთიერთგაგების ან ინფორმაციის გაცვლის ნეიტრალური საშუალება, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. ამ დროს ენობრივი პოლიტიკური სიმბოლოების მნიშვნელობა მომდინარეობს კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციიდან. ნებისმიერი პოლიტიკური კომუნიკაციის მიზანია გარკვეული ინტერესებისა და განზრახვების გატარება. ამ თვალსაზრისით, ენა განიხილება როგორც მიზანმიმართული პოლიტიკური ბრძოლის და ზემოქმედების იარაღი. ენა და პოლიტიკა ძალაუფლების ზღურბლთან ხვდება ერთმანეთს. პოლიტიკური ენა არის მანიპულაციური ინსტრუმენტი, რომელსაც პოლიტიკური ლიდერები იყენებენ თავიანთი პოლიტიკური ზრახვებისა და სურვილების მისაღწევად.

პოლიტიკური პლაკატი წარმოადგენს ვიზუალურ იარაღს, რომლის მიზანი საზოგადოების დარწმუნება, მათი აზრის ჩამოყალიბება და მხარდაჭერის მოპოვებაა. ნებისმიერი პოლიტიკური პლაკატის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, მისი ლოზუნგია. მოკლე, გავლენის ეფექტის მქონე ფრაზა, რომელიც გადმოსცემს კანდიდატის გზავნილს, ღირებულებებს ან დაპირებებს ისე, რომ ის მაქსიმალურად დასამახსოვრებელი იყოს საზოგადოებისთვის. ლოზუნგის ეფექტურობა მდგომარეობს მის შესაძლებლობაში, გაამარტივოს რთული იდეები და ისინი ემოციურად დამაჯერებელი გახადოს. ლოზუნგი უნდა იყოს ლაკონიური, დასამახსოვრებელი და ემოციურად დატვირთული, რათა ამომრჩევლებზე ხანგრძლივი შთაბეჭდილება დატოვოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგად შემუშავებული სლოგანი წარმოადგენს ერთგვარ სიტყვიერ კაუჭს, რომელიც დიდხანს რჩება ამომრჩევლის გონებაში. სხვადასხვა მედია არხებზე, ლოზუნგის ხშირი გამეორება აძლიერებს კამპანიის გზავნილს, ზრდის ცნობადობას და ასოციაციას პოლიტიკურ კანდიდატთან ან მოძრაობასთან. უამრავი მაგალითი არსებობს იმ ლოზუნგებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს პოლიტიკურ კამპანიებზე. ლოზუნგის ეფექტურობა, მის ენობრივ მახასიათებლებთანაც არის დაკავშირებული. პოლიტიკურ ლოზუნგებში, ხშირად არის გამოყენებული ისეთი რიტორიკული ინსტრუმენტები, როგორიცაა ალიტერაცია, რითმა და პარალელიზმი, რათა

ის საზოგადოებისთვის უფრო დასამახსოვრებელი გახდეს. აღნიშნული ლინგვისტური ინსტრუმენტების გამოყენება, ლოზუნგებს უფრო მიმზიდველს და ადვილად დასამახსოვრებელს ხდის, რაც უზრუნველყოფს მათ რეზონანსს ფართო აუდიტორიასთან.

პოლიტიკურ პლაკატებზე დატანილი ლოზუნგები უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ფრაზა - ეს არის სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც ასახავს კამპანიის არსს, მოტივაციას აძლევს მხარდამჭერებს და ხანგრძლივ შთაბეჭდილებას ტოვებს საზოგადოებაზე. ლოზუნგი, თავისი ემოციური მიმზიდველობით და სიმარტივით, პოლიტიკური კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე. როგორც ისტორიამ აჩვენა, სწორად მოფიქრებულ ლოზუნგს, ეპოქის განსაზღვრა და არჩევნების მიმდინარეობის შეცვლაც კი შეუძლია.

2.2. კვლევის სიახლე და აქტუალურობა.

კვლევა უდავოდ აქტუალურ თემას ეხება, რადგანაც პოლიტიკური დისკურსი არასოდეს არ კარგავს აქტუალობას და იგი მუდმივად ფართე მასების ყურადღების ქვეშაა. მართალია, ამ სახის კვლევები ბევრ სხვა ქვეყანაში ხორციელდება, მაგრამ ჩვენი კვლევა იმით არის აღსანიშნავი, რომ იგი დიაქრონულ ჭრილში იქნება შესრულებული სამი სხვადასხვა ქვეყნის წინასაარჩევნო პოლიტიკური პლაკატების ანალიზის საფუძველზე.

2.3. კლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია.

სადოქტორო კვლევა მიზნად ისახავს ქართული, ინგლისური და ამერიკული წინასაარჩევნო პლაკატების ლინგვო-სტილისტური თავისებურებების კვლევას თვისებრივი და დიაქრონული მეთოდების გამოყენებით. მისი მიზანია, იკვლიოს ენის, რიტორიკისა და დიზაინის ურთიერთქმედება, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკურ შეტყობინებებსა და ამომრჩეველთა აღქმაზე. კვლევის ფარგლებში, დაგეგმილია შედარებითი მიდგომის გამოყენება, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული რეგიონების პოლიტიკურ კომუნიკაციაში, კულტურულ განსხვავებულობებსა და საერთო სტრატეგიებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევა მიზნად ისახავს ენობრივი და სტილისტური საშუალებების იდენტიფიცირებას, კულტურული გავლენის შესწავლას, დარწმუნების ტექნიკის ანალიზს და საარჩევნო პლაკატების მულტიმოდალური ასპექტების შეფასებას.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის ფარგლებში, დაგეგმილია კვლევის თვისებრივი დიაქრონული მეთოდების გამოყენება. მონაცემები მოიცავს საარჩევნო პლაკატებს უახლესი არჩევნებიდან (2010-2025) საქართველოში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში. ლინგვისტური ანალიზი ორიენტირებულია სინტაქსზე, დიქციასა და რიტორიკაზე, ხოლო ვიზუალური ანალიზი იკვლევს ტიპოგრაფიას, ფერთა სქემებსა და გამოსახულებას. კვლევის დროს ასევე გამოყენებული იქნება შედარება-შეპირისპირების, აღწერილობითი/ დესკრიფციული და დაკვირვების მეთოდები.

კვლევა რამდენიმე ეტაპად ჩატარდება:

1. **მოსამზადებელი ეტაპი**

- კვლევის მასშტაბის და მიზნების განსაზღვრა;
- პოლიტიკური კომუნიკაციის, მულტიმოდალური დისკურსის და ლინგვისტური სტილისტიკის ლიტერატურის მიმოხილვა;
- ქართული, ინგლისური და ამერიკული წინასაარჩევნო პლაკატების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება მათი შემდგომი ანალიზის მიზნით.

2. **მონაცემების შეგროვება**

- 2010-2025 წლების წინასაარჩევნო პლაკატების შეგროვება ქართული, ინგლისური და ამერიკული პოლიტიკური კამპანიებიდან;
- სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიისა და კონტექსტის ამსახველი პლაკატების შეგროვება.

3. **ანალიტიკური ჩარჩოს შემუშავება**

- ენობრივი, სტილისტური და მულტიმოდალური მახასიათებლების ანალიზის ჩარჩოს შემუშავება;
- რიტორიკული სტრატეგიების, ენობრივი მახასიათებლებისა და ვიზუალური ელემენტების კოდირების კატეგორიების შექმნა.

4. **მონაცემების ანალიზი**

- საარჩევნო პლაკატების ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების ანალიზი თვისებრივი და დიაქრონული მეთოდების გამოყენებით;
- ქართული, ინგლისური და ამერიკული წინასაარჩევნო პლაკატების შედარება;

- პოლიტიკურ გზავნილებში, ტექსტური და ვიზუალური ელემენტების ურთიერთკავშირის შესწავლა.

5. **კვლევის შეჯამება**

- ჩატარებული კვლევის შეჯამება და საბოლოო დასკვნების გაკეთება

კვლევის მოსალოდნელი შედეგები მოიცავს ლინგვისტური მახასიათებლების ყოვლისმომცველი კატალოგის შექმნას, კულტურული და კონტექსტუალური ნიუანსების გააზრებას და საარჩევნო პლაკატებში პოლიტიკური დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავებას.

1. **ლინგვისტური მახასიათებლების კატალოგი** - ქართულ, ინგლისურ და ამერიკულ წინასაარჩევნო პლაკატებში ხშირად გამოყენებული ენობრივი და სტილისტური საშუალებების დეტალური კატალოგი.

2. **კულტურული შეხედულებები** - კულტურული ნიუანსების გააზრება და მათი გავლენა პოლიტიკურ კომუნიკაციაში ენის, ტონისა და სტილის არჩევანზე.

3. **შედარებით-შეპირისიპირებითი ანალიზი** - კულტურულ კონტექსტში წინასაარჩევნო პლაკატებში გამოყენებული ენობრივი და სტილისტური ინსტრუმენტების მსგავსებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება.

4. **დარწმუნების ინსტრუმენტების უკეთ შესწავლა** -სიღრმისეული გააზრება, თუ როგორ უწყობს ხელს დამაჯერებელი ენა და დიზაინი საარჩევნო პლაკატების ეფექტურობას სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში.

5. **ანალიტიკური ჩარჩო** - საარჩევნო პლაკატების ანალიზის მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური კომუნიკაციისა და მულტიმოდალური დისკურსის სამომავლო კვლევებში.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი: 4.04.2025 წ.